ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37213341**
თარიღი:**30/11/2021**

ბრძანება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 27 ნოემბრის N 1 დადგენილების 16 მუხლის მე- 4 პუნქტის და ამავე საკრებულოს 2018 წლის 7 თებერვლის N 6 განკარგულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს 2021 წლის ნოემბრის თვეში მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაურდეს (საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს ფრაქციის სხდომებში, დროებით სამუშაო ჯგუფებში მუშაობაში მონაწილეობისათვის. ასევე, ამომრჩეველთან გასვლითი შეხვედრებისათვის და ადმინისტრაციული შენობაში მოქალაქეთა მიღებისთვის,) დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი